ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №41

29.03.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჟორჟოლიანი, თარაშ შურღაია, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. **საბა ფიფია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ქეთევან კანდელაკიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის იურისტი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 26 მარტის №12-03190853-03 წერილი) - ოქმს თან ერთვის.

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 26 მარტის №12-03190853-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა საბა ფიფიამ.

მომხსენებლის (ს. ფიფია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის დეკემბრის №17-55 დადგენილების შინაარსობრივი ნაწილი სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით ზუსტდება. კერძოდ, არსებულ რედაქციაში დაკონკრეტებულია ის წინაპირობა, რომლის არსებობის შემთხვევაშიც დაიშვება ან არ დაიშვება ხის გადარგვა. აღნიშნული წინაპირობა შეეხება ხეებს, რომელთა დიამეტრიც აღემატება 25 სმ-ს, თუმცა საქმიანობის პროცესში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წინაშე წამოჭრილი სირთულეების გამო, საჭირო გახდა ცვლილების შეტანა და დაკონკრეტება, რომ წესის 21^1 მუხლით გათვალისწინებული გადარგვის წინაპირობა შეეხება მხოლოდ დიდტანიან ხეებს.

ასევე, დადგენილების არსებული ჩანაწერით ნათლად არ იკვეთება, რომ 25 სანტიმეტრის ან 25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე ხეების გადარგვის თაობაზე უფლებამოსილი ორგანო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დისკრეციულად იღებს გადაწყვეტილებას, რის გამოც, 21^1 მუხლის შემდეგ ემატება 21^2 მუხლი („მუხლი 21^2 მუხლი. 25 სმ ან ნაკლები დიამეტრის მქონე ხის გადარგვა“) და სწორდება არსებული ხარვეზი.

მომხსენებელმა, ბ-ნმა ს. ფიფიამ დამატებით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომისიის სხდომაზე გამოითქვა წინადადება, რომ სასურველია, დადგენილების პროექტის პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება. აღნიშნულ წინადადებას სამსახური დაეთანხმა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი იქნება დადგენილების პროექტის რედაქტირებული ვერსია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 26 მარტის №12-03190853-03 წერილით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყდა:**

დადებითად შეფასდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე